ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის 1 მარტის ბრძანებით შექმნილი სამუშო ჯგუფის სხდომის

ოქმი N1

2024 წლის 1 ივლისს 12 საათზე ჩატარდა ახმეტის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშო ჯგუფის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ალექსი ფიცხელაური -ახმეტის მუნიციპალიტეტის მერი- ,,სამუშაო ჯგუფის ,, თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ სამუშაო ჯგუფის წევრები : ზურაბ ფილაშვილი -მერის პირველი მოადგილე -თანადავმჯდომარე,ვანოს ნასყიდაშვილი მერის მოადგილე, მარინა მაისურაძე-მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი,საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, მარიამ სააკაძე-მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ეკონომიკის სამსახურის უფროსი-მუდმივი წარმომადგენელი,თინათინ შათირიშილი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი,იურიდიული სამსახურის უფროსი მუდმივი წარმომადგენელი, ოლია ხოხობაშილი-მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განათლების ,კულტურის,სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი მუდმივი წარმომადგენელი. ნინო იდიძე-მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ჯანდაცვის, ბავშვთა უფლებების დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი,მუდმივი წარმომადგენელი.ბადრი ფილაშილი-მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი,მერიის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის სამსახურის უფროსი, ნიკოლოზ დეკანოზიშვილი- მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი,ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

1.ახმეტის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე სამუშაო ჯგუფის მიერ წარმომადგენელი პრიორიტეტების შერჩევა - განსაზღვრა(მომხსენებელი მ. მაისურაძე)

მოისმინეს:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის, მარინა მაისურაძის მოხსენება, რომელმაც გააცნო ჯგუფის წევრებს აიპიებისა და მუნიციპალიტეტის სამსახურების მიერ წარმოდგენილი პრიორიტეტები. მან განაცხადა რომ, საბოლოო სახის მიღებამდე შესაძლებელია გარკვეული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინება და საერთო აზრის შეჯერება სხვადასხვა საკითხებზე.

აზრი გამოთქვეს:

მუნიციპალიტეტის მერმა ალექსი ფიცხელაურმა,რომელმაც საინტერესო წინადადებები შესთავაზა აიპიებს და სამსახურებს. დაავალა მათ მუშაობის პროცესში გაეთვალისწინებინათ მოქალაქეთა მოთხოვნები, ყურადღება გაემახვილებინათ მოქალაქეთა ჩართულობაზე საბიუჯეტო პროცესებში.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ აიპიების ხელმძღვანელები და სამსახურის უფროსები

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დადგინდა:

1. 2024 წლის 30ივლისამდე შესაბამისმა სამსახურებმა და აიპიებმა მოახდინონ სამუშაო ჯგუფის მიერ შერჩეული პრიორიტეტების პროგრამულად დამუშავება.
2. არასამეწარმეო(არაკომერციულმა)იურიდიულმა პირებმა და შესაბამისმა სამსახურებმა გააგრძელონ შიდა საბიუჯეტო კალენდრის სრული დაცვით ყველა იმ სამუშაოს ჩატარება,რომელიც საჭიროა საბიუჯეტო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით.

   დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ ალექსი ფიცხელაურმა სამუშაო ჯგუფის სხდომა დახურულად გამოაცხადა ოქმის სისწორეს ვადასტურებთ ხელისმოწერით:

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: / ალექსი ფიცხელაური/

სამუშაო ჯგუფის წევრები: / ზურაბ ფილაშვილი/

/ვანო ნასყიდაშვილი/

/მარინა მაისურაძე/

/მარიამ სააკაძე/

/ ოლია ხოხობაშვილი/

/ნინო იდიძე/

/ბადრი ფილაშვილი/

/ ნიკოლოზ დეკანოზიშვილი/